საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო
MINISTRY OF ENVIRONMENT PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო
LEPL NATIONAL ENVIRONMENTAL AGENCY

0112, საქართველო, თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. 150
150 D. Agmashenebeli ave. 0112, Tbilisi, Georgia

TEL: +995 32 2439503 FAX: +995 32 2439502
E-mail: info@nea.gov.ge Web: www.nea.gov.ge

N 21/639
03/02/2023

639-21-2-202302031716

შპს „ზღვის პროდუქტებს“
მის: ხობის მუნიციპალიტეტი, სოფელი პატარა ფოთი
ელ. ფოსტა: sardixelaia@mail.ru

სსიპ გარემოს ეროვნულმა სააგენტომ განიხილა თქვენი №563 სკრინინგის განცხადება, რომელიც ეხება ხობის მუნიციპალიტეტში, სოფ. პატარა ფოთში შპს „ზღვის პროდუქტების“ სასარგებლო წიაღისეულის (ქვიშის) გადამამუშავებელი საწარმოსა და ნავთობპროდუქტების საცავის ექსპლუატაციის პროექტს.

სკრინინგის განცხადებაში სრულად არ არის გათვალისწინებული №21/3481 და №21/5243 წერილებით მოთხოვნილი საკითხები, კერძოდ:

- სკრინინგის განცხადება უნდა მოიცავდეს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-4 ნაწილის „ბ“ ქვეპუნქტით გათვალისწინებულ ინფორმაციას, კერძოდ, წარმოდგენილი უნდა იყოს საქმიანობის განხორციელების ადგილის shp-ფაილები;
- დოკუმენტის თანახმად, დიზელის საწვავით გასამართი ტერიტორია ზემოდან იქნება გადახურული, მობეტონებული და უზრუნველყოფილი იქნება საწვავის ავარიულად დაღვრის შემთხვევაში შემკრები არხებით. თუმცა, წარმოდგენილი არ არის არხების მეშვეობით თუ სად მოხდება შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტების შეგროვება. ასევე, განხილული უნდა იყოს შემდგომი მართვის საკითხი;
- სკრინინგის განცხადებაში (დანართი 1) წარმოდგენილ სასარგებლო წიაღისეულის გადამამუშავებელი საწარმოს გენგეგმაზე დატანილი უნდა იყოს საბოლოო პროდუქციის დასაწყობების ადგილის GPS კოორდინატები. ამასთან, გენგეგმაზე დატანილი ინფორმაცია უნდა იყოს გარჩევადი;
- სკრინინგის განცხადების თანახმად, საწარმოში წელიწადში 75 დღე და ჯამში 600 საათი მიმდინარეობს მდინარიდან ქვიშისმწოვის საშუალებით ქვიშის ამოტუმბვა წყალთან ერთად და საცერში გავლით სალექარებში წყალთან ერთად განთავსება. წარმოდგენილი დოკუმენტის თანახმად, დღის განმავლობაში ხდება 6400 $მ^3$ მასის ამოღება, საიდანაც 1920 $მ^3$ ქვიშაა, ხოლო 4480 $მ^3$ წყალი. ხოლო, წლიურად ხდება 480 000 $მ^3$ მასის ამოღება, საიდანაც 144 000 $მ^3$ არის ქვიშა, ხოლო 336 000 $მ^3$ წყალი. ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, დაზუსტებას საჭიროებს ცხრილი 1-ში მითითებული სამუშაო საათების რაოდენობა (დღიური და წლიური).

ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე, სააგენტო კანონმდებლობის შესაბამისად სკრინინგის გადაწყვეტილების გაცემის მიზნით ადმინისტრაციულ წარმოებას დაიწყებს მითითებული შენიშვნების გათვალისწინებით შესწორებული სკრინინგის განცხადებების წარმოდგენის შემდეგ.

თამარ ფიცხელაური

სააგენტოს უფროსი

სსიპ გარემოს ეროვნული სააგენტო